ახალი ხარაგაული

№339 (30), 5 დეკემბერი, 2016 წ.

„ის ურჩევნია მამულსა...“

ის-ის იყო შევიტყვე, რომ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველი მოადგილის პოსტი ხარაგაულელმა (მარელისელმა) არჩილ მაღრაძემ დაიკავა.

— ეს ხომ ჩვენი არჩილია, ჩვენი აჩიკო მაღრაძე, ათეული წლების მიღმა, თბილისიდან გადმოსული, რკინიგზის N10 საშუალო სკოლაში (დღევანდელი N3 საჯარო სკოლა) იმ კლასს რომ შემოუერთდა, რომელსაც მე ვხელმძღვანელობდი. მოსვლისთანავე სულ რამდენიმე დღეში თანატოლებთან და აღმზრდელ-პედაგოგებთან ურთიერთობის ის განსაკუთრებული უნარი გამოავლინა, რომლითაც მალე გადალახა უცხოობის ბარიერი და გახდა ყველა ამხანაგისათვის ძალზე შინაური, ახლობელი, საყვარელი, ხოლო მასწავლებელთათვის საიმედო და პერსპექტიული მოსწავლე...

* * *

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის მისაღებში ვარ... ჩემს რიგს ველოდები გამგებლის პირველ მოადგილესთან შესასვლელად. მდივანს ვაფრთხილებ, რომ ჩემ შესახებ არაფერი უთხრას არჩილს. მაინტერესებს, ათეული წლების შემდეგ, თუ მიცნობს...

...მთხოვნელთა სიმრავლის გამო დრო ბევრი მაქვს და მოგონებებში ვიძირები... ყოველთვის მიყვარდა და ახლაც მიყვარს ჩემი უფროსკლასელების მოტივაციის ასამაღლებლად მიმართვა: ჩემო ლომებო, ვეფხვებო, არწივებო! დადგება დრო, როცა თქვენს თანამდებობრივ წინსვლას შევიტყობ და თქვენთან შესახვედრად კაბინეტის კარს ამაყად მოვუახლოვდები... ნეტავ მაშინ ადვილად თუ იცნობთ თქვენს მასწავლებელს?..

* * *

... ფიქრებიდან ვერკვევი... მოპირდაპირე მხრიდან იღება კაბინეტის კარი და ჩნდება, მაღალი, შავგვრემანი, სასიამოვნო გარეგნობის ახალგაზრდა...

წამიერად თითქო უკან შებრუნებას აპირებდა, მაგრამ შეჩერდა, სხივანთებული თვალები ჩემკენ მოაშუქა... ჩემო მერი მასწავლებელო!.. და გულმხურვალედ გადამეხვია...

ძვირფასო მკითხველო!

დამერწმუნებით, თუნდაც ასეთი სანეტარო წამისათვის ნამდვილად ღირს პედაგოგის პროფესია...

* * *

ჩვენი საუბარი ძალზე ბუნებრივი და უშუალოა. გულში სიამოვნება და სიხარული მიძლიერდება, როცა ვუსმენ მის დინჯ, აზრიან, სათანადო არგუმენტებით დასაბუთებულ მსჯელობას.

-მერი მასწავლებელო, გეთანხმებით, რომ ყველა არჩევნებს ოპტიმიზმით ხვდება ამომრჩეველი. ხალხი უკეთეს ხვალინდელ დღეს მოელის. მწამს, ახალარჩეული პარლამენტი ამ მიმართულებით წარმართავს მუშაობას.

გაგრძელება მე-2 გვერდზე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელმა, ნიკოლოზ თოფურიძემ, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს საჩუქრად ეტლები გადასცა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელმა, ნიკოლოზ თოფურიძემ, და გამგებლის პირველმა მოადგილემ, არჩილ მაღრაძემ, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს საჩუქრად ეტლები გადასცეს.

სოფელ ბორითში მცხოვრებ მარიამ ბლუაშვილსა და მაქათუბნის თემში მცხოვრებ ვენიკო სებისკვერაძეს ეტლები ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა სახლში პირადად მიუტანეს და მათი ჯანმრთელობის მდგომარეობას ადგილზე გაეცნენ.

თანამედროვე, რბილი სავარძლის მქონე, კომფორტული ეტლები ინდივიდუალური შესაძლებლობების მიხედვით გადაეცათ მათ, ვისაც საერთოდ არ ჰქონდათ ეტლი, ან ჰქონდათ, მაგრამ დაზიანებული იყო.

„თუკი ხარაგაულში კვლავ დადგება ეტლების საჭიროება (თუმცა სასურველი ნამდვილად არაა), ჩვენ მზად ვართ, ბენეფიციარები ისევ დავაკმაყოფილოთ. ხარაგაულის მუნიციპალიტეტი ყოველთვის მზადაა, განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირებს გვერდით დაუდგეს. ადგილობრივი ბიუჯეტიდან ამ მიმართულებით სხვადასხვა სოციალური პროგრამაც ხორციელდება.“ - აღნიშნა ჩვენთან საუბარში მუნიციპალიტეტის გამგებელმა, ნიკოლოზ თოფურიძემ.

ეკა შავიძე

ინტელექტ-ჩემპიონატ „ეტალონის“ გამარჯვებული ნინო მაღრაძე გახდა

28 ნოემბერს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის კინოთეატრში ინტელექტ-ჩემპიონატ „ეტალონის“ ნახევარფინალური შეხვედრა გაიმართა. „ხარაგაულის ეტალონი მოსწავლის“ სტატუსი მარელისის საჯარო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლემ, ნინო მაღრაძემ, მოიპოვა. საგანმანათლებლო პროექტის შესარჩევ ტურში ჩართული იყო ხარაგაულის საჯარო სკოლებისა და წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის გიმნაზიის IX, X, XI და XII კლასის მოსწავლეები. ინტელექტ-ჩემპიონატის პირველ ეტაპზე ხარაგაულის 25 საჯარო სკოლიდან ტესტირებაში მონაწილეობა 423-მა მოსწავლემ მიიღო, აქედან მეორე ეტაპზე 54 გადავიდა.

„ეტალონზე“ მონაწილეთა მხარდასაჭერად წარმოდგენილი იყო შემდეგი შემოქმედებითი პროგრამა: მრავალი ფესტივალის გამარჯვებული, კონკურს „იმერეთის ხმის“ გრანპრის მფლობელი, სალომე კვირიკაშვილი, სიმღერით - „საქართველო“, ხალხური შემოქმედების სახლთან არსებული საბავშვო ანსამბლი „საუნჯე“, სიმღერით - „დარიალს რომ მიადგები“ (ლოტბარი მაია მაღრაძე) და მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლთან არსებული ფოლკლორული წრის მოსწავლეები ხალხური სიმღერით - „იმერული სახუმარო“ (ხელმძღვანელი ვასილ კიკნაძე).

ინტელექტ-შეჯიბრის რეიტინგში მე-2 ადგილზე დაბის N2 საჯარო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე ნონა მაჭავარიანი, გავიდა. მესამე ადგილი კი ვერტყვიჭალის საჯარო სკოლის მოსწავლე სალომე გოგოლაძემ დაიკავა. კონკურსის ყველა მონაწილეს სიგელები გადაეცა, ხოლო პირველ სამ ადგილზე გასული მოსწავლე, ხარაგაულის მუნიციპალიტეტისგან საჩუქრად პორტატულ კომპიუტერს მიიღებს. ამის შესახებ ღონისძიებაზე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელმა, ნიკოლოზ თოფურიძემ, განაცხადა.

„მარტის თვეში პირველ სამ ადგილზე გასულ მოსწავლეს ადგილობრივი თვითმმართველობისგან საჩუქრად პორტატული კომპიუტერი გადაეცემა. მომავალი წლის ბიუჯეტში ამ მიმართულებით თანხები გათვალისწინებული იქნება. ბავშვები „ეტალონის“ მიმართ ენთუზიაზმით არიან განწყობილი და ეს მისასალმებელია“ - აღნიშნა თოფურიძემ.

ნინო მაღრაძეს „ეტალონში“ გამარჯვება გამგებლის პირველმა მოადგილემ, არჩილ მაღრაძემ, მიულოცა.

„პირადად ჩემთვის ორმაგად სასიხარულოა ნინოს გამარჯვება, რადგან იგი ჩემი ნათლულია. ვულოცავ დღევანდელ მიღწევას და ცხოვრების ასპარეზზე არაერთ წარმატებას ვუსურვებ.“ - დასძინა ბატონმა არჩილმა.

ხარაგაულის მაჟორიტარი დეპუტატი, კობა ლურსმანაშვილი, აცხადებს, რომ ეს იყო გონიერებისა და ნიჭიერების ზეიმის დღე.

„ზოგადად, „ეტალონი“ არის უმნიშვნელოვანესი პროექტი, რომელსაც არაერთი სიხარული მოაქვს ახალგაზრდებისთვის. გოჩა ტყეშელაშვილი პატრიოტი ადამიანია და იცის, რას აკეთებს. დღეს ხარაგაულში იყო გონიერებისა და ნიჭიერების ზეიმი. ყველანი ვთანხმდებით, რომ ეს პროექტი ძალიან სჭირდება ახალგაზრდებს.“

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე, ვარლამ ჭიპაშვილი, აღნიშნავს, რომ „ეტალონი“ არის ის პროექტი, რომელიც მომავალ თაობაში ზრდის მოტივაციას, მიიღონ განათლება და გამოიყენონ ქვეყნის საკეთილდღეოდ. „ხარაგაული არის ცოდნის დიდი ტაძარი, სადაც გვყავს ძალიან ნიჭიერი ახალგაზრდები, კვალიფიციური და ღირსეული პედაგოგები და შვილების მაღალი დონის განათლებაზე ორიენტირებული მშობლები. ვადასტურებ ჩემს ღრმა პატივისცემას ამ პროექტისადმი.“

ჭიპაშვილმა „ეტალონის“ წამყვანს, გოჩა ტყეშელაშვილს, ბაზალეთის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახელით წმინდა გიორგის ხატი უსახსოვრა.

ხარაგაულის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის, დავით კიკნაძის თქმით, ხარაგაულში ყოველთვის ფასდებოდა ნიჭიერება. „მუნიციპალიტეტს ყოველთვის გაჩნდა ინტელექტუალური პოტენციალი. ამაყები ვართ, რომ ჩვენი მოსწავლე-ახალგაზრდები ასე ღირსეულად წარმოჩნდნენ „ეტალონზე“ და ხარაგაული ასახელეს.“

საკრებულოს ფრაქცია „მრეწველების“ თავმჯდომარემ, იუზა კელენჯერიძემ, „ეტალონის“ ხარაგაულში ჩატარება ისტორიულ დღედ მიიჩნია და აღნიშნა, რომ იგი ყველაზე რეიტინგული და ფართომასშტაბიანი პროექტია. „ეტალონი“ ნამდვილად ემსახურება სწავლაზე ორიენტირებული ახალგაზრდების წარმოჩენას. ყველაზე დიდი ბედნიერება სიძლიერეშია, სიძლიერე -ცოდნაში, ხოლო ცოდნა ის გასაღებია, რომელიც ყველა კარს აღებს.“-აღნიშნა ბატონმა იუზამ.

ინტელექტ-ჩემპიონატის გამარჯვებული ნინო მაღრაძე მიიჩნევს,

გაგრძელება მე-2 გვერდზე

„ის ურჩევნია მამულსა...“

დასაწყისი პირველ გვერდზე

ამჯერად მე, როგორც გამგებლის პირველი მოადგილე, ვხელმძღვანელობ ეკონომიკა - ინფრასტრუქტურის სფეროს. რასაკვირველია, არ მაქვს ილუზია იმისა, რომ ერთ წელიწადში ხარაგაულის საკეთილდღეო ყველა ჩემს ჩანაფიქრს განვახორციელებ. მაქსიმალურად გამოვიყენებ გონებრივ რესურსს, წინამორბედთა გამოცდილებას. როგორც ქრისტიანს, როგორც ქართველს, ჩემი მიწა, ჩემი სამკვიდრო ძალიან მიყვარს...

აი, ამ, წუთებში მისახსოვრეთ თქვენი ავტორობით გამოცემული წიგნი „იზა ვეფხვაძე - დიდ წინაპართა გამცოცხლებელი“ ძალზე შთამბეჭდავი წარწერით (კითხულობს) „მწამს, გეძახდა შენი „ადგილის დედა“ შენი ხარაგაული...

ვთხოვ უფალს, ისეთი აღიარება და სიყვარული დაგემსახურებინოს ხარაგაულის საზოგადოებაში, რომ შენი ყოფილი სიტყვიერების მასწავლებლისა და კლასის ხელმძღვანელის უბრალო კალამი კი არა, მხატვრული სიტყვის რჩეული ოსტატებიც დაინტერესებულიყვნენ ხარაგაულის საკეთილდღეოდ აღბეჭდილი შენი ღამაზი კვალით.“

-რასაკვირველია, დაასკვნის იგი, ეს ძალზე შორს წასული ნატვრაა, მაგრამ მთელი ჩემი შესაძლებლობით შევეცდები, რომ მუხლჩაუხრელად ვემსახურო ჩემი „ადგილის დედას,“ ჩემს ხარაგაულს, მის შრომისმოყვარე, წიგნიერ, მოაზროვნე საზოგადოებას. არც მაქვს სხვაგვარი უფლება. ჩემი სამკვიდრო ხარაგაულია, ჩემი მშობლები: - თამარ ბარბაქაძე და მერაბ მაღრაძე მარელისლები არიან; მამა წლების განმავლობაში პარტიის ხარაგაულის რაიკომის პირველი მდივანი იყო. ჩემთვის უძვირფასესია აწ განსვენებული წინაპრების: ნოე და ვლადიმერ (ლადო) მაღრაძეების, ჩემი უსაყვარლესი ბებოს, ობჩელი ჟუჟუნა მესხის, დანატოვარი ძირძველი კერა... ასე მგონია, მათ სულებს ვამზიანებ, როცა ვეხები რელიკვიადქცეულ სანნახელს, ჭურებს, შრომის იარაღებს... არ მინდა, სულის მასაზრდოებელი ძლიერი ძარღვი გაწყდეს წინაპრებთან და ყოველ წელიწადს დროის გარკვეულ მონაკვეთს ჩემს შვილებს - თხუთმეტი წლის მარიამსა და სამი წლის ალექსანდრეს, ჩემს მეუღლესთან ერთად, მარელისში ვატარებინებ.

თბილისში ერთ ჭერქვეშ ვცხოვრობთ სამი თაობა: ჩემი მშობლები, მე და ჩემი ცოლ-შვილი. არ გამიჭირდებოდა ცალკე ბინა ცოლ-შვილთან ერთად, მაგრამ შვილები უმთავრესს ვერ ეზიარებოდნენ: უფროს - უმცროსობის წესსა და ადათებს, რომლითაც ესოდენ გამორჩეულია ჩვენი ერი მსოფლიოში.

* * *

მერი მასწავლებელო! - თქვენ გაინტერესებთ ჩემი აზრი ახალგაზრდების შესახებ და ის, თუ რას ვურჩევდი მათ. პირადად ჩემთვის ძალზე მნიშვნელოვანია ის წლები, რომლებიც, როგორც მოსწავლემ, ხარაგაულში გავატარე. ახალგაზრდას, რასაკვირველია, გამოცდილება აკლია, ხშირად ზედმეტადაა დარწმუნებული საკუთარ შესაძლებლობებში. უფროსთა რჩევასაც ხშირად უგულებელყოფენ, რაც ძალიან აზიანებს მათ სამომავლო გზას. დრო კი სწრაფად გარბის, როგორც დიდი გალაკტიონი იტყოდა: „დღეები რბიან ვით კამათელი...“

უკვე 43 წლისა ვარ და სხვადასხვა სფეროში სამსახურით, ადამიანებთან ურთიერთობით საკმაო ცოდნა-გამოცდილება დამიგროვდა. მინდა, ხარაგაულელ ახალგაზრდობას ვურჩიო, რომ ყველაზე დიდი სიმდიდრე ცოდნაა, რაც შეიძლება დააგროვო, სხვას გაუზიარო, როგორც დიდი ილია და დავით გურამიშვილი იტყოდნენ, შენ არა დაგაკლდება, მოგემატება, მას ვერვინ შეგეცილება, ვერვინ გაგიყოფს. ეს არ არის ჟამგადასული შეგონება, ეს დამოძღვრა მარად ახალია, რადგან იგი ყოველი დროის ახალგაზრდისთვის სამომავლო გზის ორიენტირი და კომპასია. არც ისაა ახალი, რომ თანამედროვე ტექნოლოგიებმა წიგნთან ურთიერთობას დაგვაშორა. კომპიუტერმა წიგნი არ უნდა დაგვავიწყოს. დღევანდელი ახალგაზრდობა ხარბად ეწაფება ინფორმაციებს. ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა ინტელექტ - ჩემპიონატ „ეტალონის“ მეორე ტურს ვესწრებოდი ხარაგაულის კინოთეატრში და გამარჯვებულად მარელისის საჯარო სკოლის მეათე კლასის მოსწავლე ნინო მაღრაძე გამოცხადდა. ის ჩემი ნათლულია და ჯერ კიდევ 2005 წელს პირველი პერსონალური კომპიუტერი ჩემგან მიიღო საჩუქრად. ნინო ძალიან მიზანმიმართული გოგონაა, ის გეგმაზომიერად უხამებს ერთმანეთს წიგნსა და კომპიუტერს და დარწმუნებული ვარ ბევრჯერ ასახელებს თავის სკოლასა და რაიონს...

P.S. ჩემო არჩილ!

საფუძვლიანად ვარ დარწმუნებული, რომ შენი მშობელი მიწისა და ხალხის სიყვარული ყველა კეთილი ჩანაფიქრის სრულყოფას შეგაძლებინებს. მე კი შენდამი მადლიერების გრძნობას, უბრალოდ, ასე გამოვხატავ: „ის ურჩევნია მამულსა, რომ შვილი სჯობდეს მამასა...“

აბა, შენ იცი!

მერი გიორგიძე

ინტელექტ-ჩემპიონატ „ეტალონის“ გამარჯვებული ნინო მაღრაძე გახდა

დასაწყისი პირველ გვერდზე

რომ მის წარმატებაში უდიდესი წვლილი პედაგოგებს მიუძღვის.

„თავდაუზოგავად ვემზადებოდი და ვცდილობდი, ჩემი ცოდნის მაქსიმუმი დამეხარჯა. არ ველოდი ასეთ წარმატებას, ეს ჩემს ცხოვრებაში ნამდვილად სასიხარულო მომენტია. მადლობას ვუხდი ჩემს ყველა პედაგოგსა და სკოლის დირექტორს. განსაკუთრებული მადლობა ქალბატონ ეკატერინე ქურდაძეს, რომელმაც თავდაუზოგავად იშრომა, რომ ამ პროექტში გამარჯვება მომეპოვებინა“.

შეგახსენებთ, რომ ინტელექტ-ჩემპიონატის ფინალური შეხვედრა 2017 წელს ბათუმში ჩატარდება, სადაც ხარაგაულის სახელით ნინო მაღრაძე წარდგება.

სოციალურ-საგანმანათლებლო პროექტ „ეტალონის“ წამყვან გოჩა ტყეშელაშვილის თქმით, პირველ ადგილზე გასული მოსწავლე 20 000 ლარს მიიღებს. ფულად თანხას მიიღებენ ასევე მეორე და მესამე ადგილზე გასული მოსწავლეებიც.

ეკა შავიძე

წყალაფორეთის საჯარო სკოლას დაარსებიდან 50 წელი შეუსრულდა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ წყალაფორეთის საჯარო სკოლას დაარსებიდან 50 წელი შეუსრულდა. იუბილეს აღსანიშნავად სკოლაში საზეიმო ღონისძიება გაიმართა, რომელსაც ხარაგაულის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, დავით კიკნაძე, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე, ვარლამ ჭიპაშვილი, ა(ა) იპ „რეზო თაბუკაშვილის სახელობის სახალხო ლიტერატურული თეატრის“ დირექტორი, იზა ვეფხვაძე, გამგებლის წარმომადგენელი წყალაფორეთის ადმინისტრაციულ ერთეულში, რევაზ სხილაძე, განათლების პროფკავშირის ხარაგაულის რაიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელი, ლალი სებისკვერაძე, ხარაგაულის საგანმანათლებლო რესურსცენტრის თანამშრომლები და სხვა დაინტერესებული პირები ესწრებოდნენ. ღონისძიებაზე ასევე მოწვეული იყვნენ წყალაფორეთის საჯარო სკოლის ღვაწლმოსილი პედაგოგები და ამავე სკოლის წარჩინებული კურსდამთავრებულები.

საზეიმო ღონისძიება წყალაფორეთის საჯარო სკოლის დირექტორმა, გიორგი გველესიანმა, გახსნა და სკოლის ისტორიის შესახებ მცირე რაკურსი გააკეთა. ბატონმა გიორგიმ სკოლის პედაგოგებსა და მოსწავლეებს საიუბილეო თარიღი მიულოცა და წარმატებები უსურვა.

როგორც საღამოზე აღინიშნა, წყალაფორეთში პირველი სამკლასიანი სკოლა ჯერ კიდევ გასული საუკუნის 20-იან წლებში, ცნობილი მოღვაწისა და მეცენატის, არჩილ მაჭავარიანის, სახლში ფუნქციონირებდა. შემდგომ სოფელში ისევ სამკლასიანი სკოლა აშენდა, რომელიც 40-50-ან წლებში შვიდწლიანი გახლდათ. 1965 წელს კი, წყალაფორეთში ახალი რვაწლიანი სკოლა აიგო, რომელიც 1973 წლიდან დღემდე ჯერ საშუალო, ხოლო შემდეგ საჯარო სკოლის სტატუსს ატარებს.

ღონისძიება, რომელიც წყალაფორეთის საჯარო სკოლის მოსწავლეებს: თამარ გველესიანსა და ნანა ქოჩიაშვილს მიჰყავდათ, ძალიან თბილი, ამაღელვებელი და შთამბეჭდავი გახლდათ. საზეიმო ცერემონიალზე ამავე სკოლის აღსაზრდელებმა მაღალი მხატვრული ოსტატობით წაიკითხეს ლექსები და შეასრულეს ქართული და უცხოური სიმღერები. საღამოზე წარმოდგენილი იყო რამდენიმე საცეკვაო ნომერიც.

ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგმა, ქალბატონმა რუსუდან ქველაძემ, დიდი სიყვარულითა და მოწიწებით გაიხსენა წყალაფორეთის საჯარო სკოლაში გატარებული წლები.

„დღეს ძალიან ამაყი და ბედნიერი ვარ, რომ ვესწრები ჩვენი სკოლის 50 წლის იუბილეს. 49 წელი ხდება, რაც პედაგოგიურ საქმიანობას ვეწევი და აქედან 40 წელი წყალაფორეთის საჯარო სკოლაში გავატარე. მეამაყება, რომ დღეს, ჩემი კოლეგები ჩემი აღზრდილი მოსწავლეები არიან. წარმატებებს ვუსურვებ წყალაფორეთის საჯარო სკოლას, კიდევ მრავალი საიუბილეო თარიღი აღენიშნოს“ - დასძინა, ქალბატონმა რუსუდანმა.

წყალაფორეთის საჯარო სკოლასთან საუკეთესო მოგონებები აკავშირებს, ასევე მრავალი ღირსეული მოსწავლის აღმზრდელს, ფრანგული ენისა და ლიტერატურის პე-

დასაწყისი მე-3 გვერდზე

სოფელ დიდვაკეში გზის მოასფალტების სამუშაოები მიმდინარეობს

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდვაკის ცენტრალურ გზაზე ასფალტის საფარი დაიგება. გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები უკვე დაიწყო და მას ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს „ნიუ ქასთელ ქონსთრაქშენი“ (დირექტორი გიორგი ლომიძე) ასრულებს. პროექტი საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის დაფინანსებით ხორციელდება და მისი ღირებულება 915 ათას ლარს შეადგენს. დიდვაკის გზის მოასფალტება 17 ოქტომბერს დაიწყო და 2017 წლის 17 იანვარს დასრულდება. შეგახსენებთ, ადგილობრივ მოსახლეობას აღნიშნულ გზაზე გადაადგილების პრობლემა წლებია, აწუხებს. არსებულ საავტომობილო გზაზე ასფალტის საფარი არასდროს ყოფილა. პროექტის განხორციელების შედეგად გაუმჯობესდება მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობები.

თამარ მაღრაძე

ხარაგაულში შშმ პირთა საერთაშორისო დღე აღინიშნა

ათწლეულებია, ყოველ 3 დეკემბერს მსოფლიო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ)პირთა საერთაშორისო დღეს აღნიშნავს-შშმ ადამიანების უფლებების, თანასწორობისა და ღირსების პატივსაცემად.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საერთაშორისო დღე ადგილობრივი ხელისუფლების ძალისხმევით ხარაგაულის მუნიციპალიტეტშიც აღინიშნა. 3 დეკემბერს შშმ პირთათვის კინოთეატრში ღონისძიება გაიმართა.

ღონისძიებას ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელი, ნიკოლოზ თოფურიძე, გამგებლის მოადგილეები: არჩილ მაღრაძე, თეიმურაზ ჩხეიძე, ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი, ნანა კიკნაძე, კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი ირინე ჩხეიძე და ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

შშმ ბავშვებისათვის კინოთეატრის სცენაზე ნაჩვენები იქნა კულტურის ცენტრთან არსებული თოჯინების თეატრის სპექტაკლი „სამი გოჭი.“ პატარები ემოციურად ადევნებდნენ თვალს სპექტაკლის მიმდინარეობას. მათთვის სასიხარულო აღმოჩნდა თოჯინების თეატრის მსახიობებთან შეხვედრა და თვით თოჯინების ახლოს „გაცნობა“.

ღონისძიების დასასრულს ორგანიზატორები ბენეფიციარებს ტკბილეულით გაუმასპინძლდნენ.

ამის შემდეგ შშმ პირები ა/ო „ნაბიჯი ხარაგაულის“ ინიციატივით და ადგილობრივი ხელისუფლების მხარდაჭერით ტყიბულის განვითარების ცენტრისკენ გაეშურნენ, სადაც მშვიდობის კორპუსისა და მაკლეინის ორგანიზაციის დაფინანსებით იმერეთის რეგიონის შშმ ბავშვთა შეხვედრა გაიმართა.

თამარ მაღრაძე

დასაწყისი მე-2 გვერდზე

დაგოგს, მანანა სახვაძეს. ქალბატონმა მანანამ რწმენა გამოთქვა, რომ სკოლას მომავალში უფრო მეტი აღსაზრდელი ეყოლება და ბევრი წარმატებული მოსწავლით იამაყებს.

სკოლას საიუბილეო თარიღი მიულოცა ხარაგაულის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსმა, დავით კიკნაძემ, და პედაგოგებს ბავშვთა კონტიგენტის სიმრავლე უსურვა.

„მინდა ყველა თქვენგანს მოგილოცოთ დღევანდელი დღე. 50 წელი ბევრია იმათთვის, ვინც მუხლჩაუხრელად იღვაწა და ეს სკოლა დღემდე მოიყვანა. აქ არიან ისეთი პედაგოგები, რომელთაც ერთ პერიოდში სახელფასო ანაზღაურება შვიდი ლარი ჰქონდათ. მიუხედავად ამისა, მათ მომავალი თაობის წინსვლისა და წარმატებისათვის უკან არაფერზე დაუხევიათ. დღეს სულ სხვა რეალობაში გვიწევს მუშაობა. განათლების სისტემა გაუმჯობესდა და ეს ჩვენი ხელისუფლების დამსახურებაა. პრემიერ-მინისტრმა, გიორგი კვირიკაშვილმა, საქართველოს განვითარების გეგმა ოთხ ეტაპად გამოაცხადა და პირველი განათლების სისტემა დაასახელა. ეს ფაქტი ძალზე სასიხარულოა, რადგან განათლების გარეშე ქვეყანა წინ ვერ წავა.“-აღნიშნა ბატონმა დავითმა.

ხარაგაულის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსმა წყალაფორეთის საჯარო სკოლას საჩუქრად ბიბლია გადასცა.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, ვარლამ ჭიპაშვილმა, ხაზი გაუსვა წყალაფორეთის საჯარო სკოლის დირექტორის, გიორგი გველესიანის, აქტიურ მუშაობას.

„გიორგი არის ერთ-ერთი სკოლის საუკეთესო დირექტორი და ის მაქსიმუმს აკეთებს ამ სკოლის წინსვლისა და განვითარებისათვის. გილოცავთ საიუბილეო თარიღს, წარმატებებს ვუსურვებ აღსაზრდელებს და პედაგოგებს. დარწმუნებული ვარ, თქვენში არის დიდი პოტენციალი იმისა, რომ კიდევ უფრო წარმატებულები გახდეთ“.

რეზო თაბუკაშვილის სახელობის სახალხო ლიტერატურული თეატრის დირექტორი, იზა ვეფხვაძე, წყალაფორეთის საჯარო სკოლის აღსაზრდელების ნიჭიერებით აღფრთოვანებულია და თავის ემოციებს გვიზიარებს.

„გაოცებული ვარ დღევანდელი დღით. ღონისძიება მაღალ დონეზე იყო ორგანიზებული. ასეთ მცირეკონტიგენტიანი სკოლისგან ამას ნამდვილად არ ველოდი. მართლაც საოცარი ბავშვები არიან. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ეს სკოლა არის სოფლის მთავარი ძარღვი და მაცოცხლებელი ორგანო.“

წყალაფორეთის საჯარო სკოლის პედკოლექტივმა უდიდესი სითბოთი, მოკრძალებით, პატივისცემითა და სიყვარულით მოიგონა გარდაცვლილი პედაგოგები (რუსუდან მაჭავარიანი, რიმა ნინიკაშვილი, მერი გურეშიძე, ნანი ჭელიძე, ვერა კახნიაშვილი, ლილი თავაძე, თამარ ღამბაშიძე, კოტე ლოლაძე, მურთაზ ჭელიძე, ნუგზარ ჭუმბურიძე, ირაკლი კავილაძე).

წუთიერი პატივი მიაგეს ასევე უდროოდ წასულ სკოლის კურსდამთავრებულებს (ლალი ხიჯაკაძეს, ლალი კავილაძეს, არჩილ ჭელიძეს, კახა პაპიძეს, ვახტანგ ნიქაბაძეს, ლევან ხიჯაკაძეს, მამუკა ოკრიბელაშვილს, გურამ და ავთო მგელაძეებს, კახა კავილაძეს, დარეჯან მელქაძეს, გია პაპიძეს, მალხაზ მაჭავარიანს, ეთერ ოკრიბელაშვილს).

გიორგი გველესიანმა ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ ირაკლი კავილაძის სახით, წყალაფორეთის საჯარო სკოლას ღირსეული ხელმძღვანელი ჰყავდა. „არ შემიძლია, არ გავიხსენო ირაკლი კავილაძე. იგი წყალაფორეთის საჯარო სკოლას 32 წელი ხელმძღვანელობდა. ის იყო საუკეთესო მენეჯერი და არაჩვეულებრივი პედაგოგი. ღმერთმა ნათელი დაუმკვიდროს მის სულს.“-დასძინა ბატონმა გიორგიმ.

ღონისძიების დასასრულს, წყალაფორეთის საჯარო სკოლის დირექტორმა წარმატებულ მოსწავლე-მასწავლებლებს სამახსოვრო სიგელები და ფასიანი საჩუქრები გადასცა.

ეკა შავიძე

ᲡᲐᲙᲠᲔᲑᲣᲚᲝᲡ ᲠᲘᲒᲒᲐᲠᲔᲨᲘ ᲡᲮᲓᲝᲛᲐᲖᲔ ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲑᲐᲨᲘ ᲛᲝᲡᲐᲚᲝᲓᲜᲔᲚ ᲠᲔᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐᲖᲔ ᲘᲛᲡᲯᲔᲚᲔᲡ

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის სამსახურებში რეორგანიზაცია იგეგმება. ამის შესახებ 22 ნოემბერს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელმა, ნიკოლოზ თოფურიძემ, საკრებულოს წერილით მიმართა და რეორგანიზაციის სამოქმედო გეგმა, საკრებულოზე დასამტკიცებლად, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციის სამსახურის უფროსმა, კახაბერ გოლუბიანმა წარადგინა. სხდომას, ასევე გამგეობის იურიდიული განყოფილების უფროსი, ინგა ღურსმანაშვილი, ესწრებოდა.

საკითხის განხილვამ დეპუტატებს შორის აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარემ, თორნიკე ავალიშვილმა, განაცხადა, რომ გამგეობას შეეძლო რეორგანიზაცია საკრებულოს თანხმობის გარეშე ჩაეტარებინა და მხოლოდ სახეშეცვლილი დებულება წარედგინა დასამტკიცებლად.

ინგა ღურსმანაშვილის თქმით, გამგეობა რეორგანიზაციას საკრებულოს თანხმობის გარეშე ვერ ჩაატარებდა, რადგან ამის უფლებას კანონი არ იძლევა.

საკითხთან დაკავშირებით საკუთარ მოსაზრებას გამოხატავს დეპუტატი გელა გოლუბიანი და მიიჩნევს, რომ აღნიშნულის საჭიროება ნამდვილად არსებობს.

„თავიდანვე რომ არ დაგვემტკიცებინა ამ ფორმით საშტატო ნუსხა, დღეს რეორგანიზაცია საჭირო არ იქნებოდა. ჩემი სურვილია, ყოველივემ უმტკივნეულოდ ჩაიაროს და ეს ადამიანთა ყოფაზე ნაკლებად აისახოს“ - ამბობს გოლუბიანი.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის, ვარლამ ჭიპაშვილის განმარტებით, რეორგანიზაციის საკითხი ძალიან ფაქიზი თემაა და მისი საფუძვლიანი შესწავლა გარკვეულ დროს საჭიროებს. მისივე თქმით, ის მხარს არ დაუჭერს შტატების შემცირებას, რადგან ამ გადაწყვეტილების უკან ადამიანების ბედი დგას.

საბოლოოდ, საკრებულოს უმრავლესობამ გამგეობის რეორგანიზაციის სამოქმედო გეგმა დაამტკიცა. საკითხს 23 საკრებულოს წევრიდან მხარი 4-მა დეპუტატმა არ დაუჭირა (თორნიკე ავალიშვილი, ქეთევან ზუმბაძე, ომარ გაგოშიძე, ინგა მაღრაძე). ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობაში მოსალოდნელი რეორგანიზაციის შესახებ კონკრეტული დეტალების გასავლელად გამგეობას ერთი თვის ვადა მიეცა. გამგეობა რეორგანიზებული სტრუქტურული ერთეულების დებულებების პროექტს, ასევე გამგეობის დებულებაში საშტატო ნუსხასა და თანამდებობრივ სარგოებში ცვლილებების პროექტს, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოში დასამტკიცებლად 20 დეკემბრამდე წარადგენს.

მოსალოდნელ რეორგანიზაციასთან დაკავშირებით, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელი, ნიკოლოზ თოფურიძე, აცხადებს, რომ არცერთი საჯარო მოხელის სახლში გაშვება არ იგეგმება და რეორგანიზაციის დეტალებს უახლოეს მომავალში გაასაჯაროებს.

„არცერთი სამსახურის გაუქმება არ იგეგმება, პირიქით, რომელიც გასაძლიერებელია, უნდა გაძლიერდეს. განყოფილებებში იქნება ცოტა ცვლილება, თუმცა, საერთო ჯამში, ეს მტკივნეული არავისთვის იქნება. მაქსიმალურად ვეცდები, სამსახურიდან არავინ იქნეს გაშვებული. იგეგმება უმნიშვნელო ცვლილებები და ამას უახლოეს მომავალში გაიგებთ.“ - აცხადებს თოფურიძე.

ეკა შავიძე

ᲕᲐᲠᲫᲘᲐᲨᲘ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐᲛᲓᲔ ᲛᲘᲡᲐᲡᲕᲚᲔᲚ ᲒᲖᲐᲖᲔ ᲑᲔᲢᲝᲜᲘᲡ ᲡᲐᲤᲐᲠᲘ ᲓᲐᲘᲒᲝ

ვარძიაში სოფლის ცენტრალური გზიდან ეკლესიამდე მისასვლელ გზაზე ბეტონის საფარი დაიგო. XII საუკუნის ღვთისმშობლის სახელობის ტაძრამდე მისასვლელი, ამორტიზებული გზა ახლა უკვე კეთილმოწყობილია. „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში რეაბილიტირებული გზა სიგრძით - 90, ხოლო სიგანით - 3 მეტრია. აღსანიშნავია, რომ პროექტის ფარგლებში გზაზე და ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე ასევე მოეწყო ღამის განათებები.

სამუშაოები შპს,,ბორჯმა" შეასრულა და საერთო ჯამში პროექტის ღირებულებამ 20 900 ლარი შეადგინა.

ᲦᲐᲠᲘᲮᲔᲕᲨᲘ ᲒᲖᲘᲡ ᲛᲝᲑᲔᲢᲝᲜᲔᲑᲘᲗᲘ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲔᲑᲘ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲡ

ღარიხევში, სოფლის ცენტრალური გზის ერთ-ერთ რთულ მონაკვეთზე, ბეტონის საფარის დაგების სამუშაოები მიმდინარეობს. პროექტი „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში დაფინანსდა და მასზე 9 000 ლარი დაიხარჯება.

მიმდინარე სამუშაოები ბაზალეთის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარმა დეპუტატმა, ვარლამ ჭიპაშვილმა, მოინახულა.

„სოფელ ღარიხევისა და წიფის მოსახლეობამ გადაწყვიტა, რომ „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში გამოყოფილი თანხით, ღარიხევის ცენტრალური გზის რთულ მონაკვეთზე ბეტონის საფარი დაგებულიყო. ამჟამად მიმდინარეობს სამუშაოები და ადგილობრივები კმაყოფილი არიან. აღნიშნული პროექტის დასრულების შემდეგ, მიმდინარე წელს ბაზალეთის ადმინისტრაციულ ერთეულში ყველა დაგეგმილი პროექტი დასრულდება,“-დასძინა ვარლამ ჭიპაშვილმა.

მარიანა ბურჯალიანი

2017 ᲬᲚᲘᲡ ᲑᲘᲣᲯᲔᲢᲘᲡ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘᲡ ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲒᲐᲜᲮᲘᲚᲕᲐ ᲛᲝᲔᲬᲧᲝ

25 ნოემბერს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის პროექტის საჯარო განხილვა მოეწყო. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი 6 656 900 ლარით განისაზღვრა, თანხა წინა წელთან შედარებით 68 000 ლარით მეტია.

საჯარო განხილვას საკრებულოს დეპუტატები, ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენლები, ა(ა)იპ-ების დირექტორები, ბუღალტრები და სხვა დაინტერესებული პირები ესწრებოდნენ.

დამსწრე საზოგადოებას 2017 წლის ბიუჯეტის პროექტი გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა, ვლადიმერ გელაშვილმა, წარუდგინა და მოუწოდა მათ, ახალი ინიციატივების ან შენიშვნების არსებობის შემთხვევაში წინადადებები წარმოედგინათ. ვლადიმერ გელაშვილმა ყურადღება გაამახვილა ა(ა)იპ-ების დაფინანსებაზე. მისივე განმარტებით ა(ა)იპ-ები ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებულ სუბსიდიებში უნდა ჩაეტიონ, რადგან მომავალ წელს მათთვის თანხების დამატება აღარ მოხდება.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, ვარლამ ჭიპაშვილმა, განმარტა, რომ წინა ხელისუფლებამ რაიონს მძიმე მემკვიდრეობა დაუტოვა და ამიტომ რთულია ყველა პრობლემის მოგვარება. მისი თქმით, დაინტერესებულ პირებს ყველანაირი საშუალება ჰქონდათ, გაცნობოდნენ ბიუჯეტის პროექტს და, თუ რაიმე სახის შენიშვნა გაუჩნდებოდათ, კანონით გათვალისწინებულ ვადებში წარმოედგინათ.

დეპუტატმა ინგა მაღრაძემ 2017 წლის ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები გამოთქვა. მისივე თქმით, მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტის თანახმად, თანხის არასაკმარისი რაოდენობის გამო, ა(ა)იპ-ები ან დაგეგმილ ღონისძიებებს ვერ განახორციელებენ, ან საჭირო გახდება თანამშრომლების შემცირება.

დეპუტატ დავით კიკნაძის მოსაზრებით, ამ ეტაპზე ა(ა)იპ-ებში სწორი მენეჯმენტის გატარება აუცილებელია, იგი საჭიროდ მიიჩნევს საშტატო ნუსხის გადახედვას.

საკრებულოს ოპოზიციონერი წევრი, თორნიკე ავალიშვილი, საკრებულოსა და გამგეობაში ადმინისტრაციული ხარჯების შემცირებაზე საუბრობს და აღნიშნავს,

რომ მივლინებებზე, საწვავსა და სატელეფონო მომსახურებაზე ამდენი თანხა არ უნდა იხარჯებოდეს.

საკრებულოს წევრი, შალვა ლურსმანაშვილი, მიიჩნევს, რომ 2017 წლის ბიუჯეტის პროექტში გათვალისწინებული უნდა იყოს რეგიონული განვითარების ფონდიდან განსახორციელებელი პროექტების თანადაფინანსებისათვის საჭირო თანხები.

ვლადიმერ გელაშვილის თქმით, ბიუჯეტის პროექტში აღნიშნული მიმართულებით თანხა არ არის განსაზღვრული, რადგან ზუსტად არ იციან, თუ რომელი პროექტების დაფინანსება გადაწყდება რეგიონული განვითარების ფონდში.

საჯარო მოხელეთა გადამზადებისთვის თანხების გამოყოფის შესახებ საკითხი დააყენა ნადაბურის მაჟორიტარმა დეპუტატმა, მიხეილ გელაშვილმა.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, ვარლამ ჭიპაშვილმა, აღნიშნა, რომ 2017 წლის ბიუჯეტის პროექტის მიხედვით, თანხა არ ჰყოფნით: სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანებას, სპორტის განვითარების ცენტრს, ცენტრალურ ბიბლიოთეკას, ხალხური შემოქმედების სახლს, კულტურის ცენტრს, ხარაგაულდასუფთავებასა და ჯანდაცვის ცენტრს. მისივე განმარტებით მუნიციპალიტეტის გამგეობასა და საკრებულოში საწვავის, ტრანსპორტის მოვლა-შენახვისა და პრემიების ხარჯების შემცირებით შესაძლებელია ბიუჯეტში უფრო მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელება. „ბიუჯეტში უნდა იყოს გათვალისწინებული თანხები: წარმატებული სპორტსმენების წახალისებისთვის, ცენტრალურ პარკში ატრაქციონების მოწყობისთვის, ხიდ-ბოგირებისა და სანიაღვრე არხების მოწყობისთვის, ასევე წიფასა და ნადაბურში სკოლამდელი დაწესებულების გახსნისთვის და ვერტყვიჭალაში დღის ცენტრის მოწყობისთვის“- დასძინა ჭიპაშვილმა.

2017 წლის ბიუჯეტის პროექტის მიმართ გამოთქმული შენიშვნები გამგეობას წერილობით გადაეგზავნება.

2017 წლის ბიუჯეტის პროექტი საკრებულომ მიმდინარე წლის დეკემბრის ბოლომდე უნდა დაამტკიცოს.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი შაქრიან დიაბეტთან დაკავშირებით მოსახლეობის ინფორმირებას განაგრძობს

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“ შაქრიან დიაბეტთან დაკავშირებით მოსახლეობის ინფორმირებას განაგრძობს. ამჯერად ა(ა)იპ „საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“ წარმომადგენელმა, ნანა ბერაძემ, ტრენინგი ხარაგაულის ისტორიულ მუზეუმში ჩაატარა.

რატომ ვითარდება შაქრიანი დიაბეტი, რა გართულებები შეიძლება მოჰყვეს მას, რა რისკ-ფაქტორები და რეკომენდაციები არსებობს შაქრიან დიაბეტთან დაკავშირებით - ეს გახლდათ ის ძირითადი საკითხები, რომლებზეც „საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“ წარმომადგენელმა, ნანა ბერაძემ, ლექციასემინარზე ისაუბრა.

„ჯანდაცვის ცენტრის მიზანია საზოგადოებას დიაბეტთან დაკავშირებით ინფორმაცია მიანოდოს. ვისაუბრეთ იმ რეკომენდაციებზე, რომლებსაც ყველა ინდივიდმა აუცილებელად უნდა მიაქციოს ყურადღება. შაქრიანი დიაბეტი არ არის დაავადება, ის არის ცხოვრების განსაკუთრებული წესი და უნდა ვისწავლოთ მასთან ერთად ცხოვრება“, — დასძინა ქალბატონმა ნანამ.

ხარაგაულში, რახიელას ღელეზე, გადასასვლელი ხიდის რეაბილიტაცია მიმდინარეობს

ხარაგაულში, რახიელას ღელეზე, გადასასვლელი ხიდის რეაბილიტაცია მიმდინარეობს. სამუშაოებს შპს „ჩინეთის რკინიგზის 23-ე ბიურო“ ასრულებს. შეგახსენებთ, რომ ხიდი მაღალი ტვირთამწეობის მანქანების გადაადგილების შედეგად დაზიანდა, რის გამოც ერთ თვეზე მეტია, ხარაგაულის ცენტრალური ქუჩა გადაკეტილია.

ხალხურ შემოქმედებით კონკურსში ხარაგაულელებმა პირველი ადგილი დაიკავეს

27 ნოემბერს თბილისში ხალხური შემოქმედებითი კონკურსი გაიმართა. კონკურსზე ხარაგაულის სახელით მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის საესტრადო სიმღერის წრის მოსწავლეები - ნინო რამიშვილი და მარიამ მანჯავიძე წარდგნენ. ნინო რამიშვილმა სიმღერები - „მთვარეო“ და „აღორძინდი საქართველო“ შეასრულა, ხოლო მარიამ მანჯავიძემ - „დავალ თბილისის ქუჩებში“ და „სიმღერა საქართველოზე“.

ჟიურის გადაწყვეტილებით, ორივე მონაწილემ თავიანთ ასაკობრივ ჯგუფებში პირველი ადგილი დაიკავა. აღსანიშნავია, რომ გამარჯვებულები აპრილში გოგი ცაბაძის საიუბილეო კონცერტზე არიან მიწვეულები.

ა(ა)იპ „მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის“ დირექტორის, მაია ბლუაშვილის, ინფორმაციით, ნინოსა და მარიამის მიერ შესრულებულმა სიმღერებმა ჟიურის დიდი მოწონება დაიმსახურა. მისივე თქმით, ხშირ შემთხვევაში მოსწავლე-ახალგაზრდობის აღსაზრდელები კონკურსებსა და ფესტივალებში პირველი ადგილისა და გრანპრის მფლობელები ხდებიან.

ხარაგაულელი სპორტსმენების მორიგი წარმატება

27 ნოემბერს ქალაქ ზესტაფონში დასავლეთ საქართველოს პირველობის ფინალური შეხვედრა ჩატარდა კუნგ - ფუ - ფაიტინგ - ში. ჩემპიონატში მონაწილეობას ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარებისა და მართვის მუნიციპალური ცენტრის გუნდთან (მწვრთნელი ზვიად კურტანიძე) ერთად დასავლეთ საქართველოს 7 გუნდი მონაწილეობდა. ხარაგაულიდან შეჯიბრებაზე 18 სპორტსმენი გავიდა, მათ შორის: 11 პირველი ადგილის, ხოლო 7 მეორე ადგილის მფლობელი გახდა. საპრიზო ადგილზე გასულ სპორტსმენებს მედლები და სიგელები გადაეცათ.

I ადგილზე გასული სპორტსმენები:
1. გიორგი მანჯავიძე;
2. ერეკლე მაღრაძე;
3. გიორგი მაღრაძე;
4. არჩილ იოსებაშვილი;
5. გიორგი იოსებაშვილი;
6. გაგა გელაშვილი;
7. გივი მაზიაშვილი
8. პავლე ხომასურიძე;
9. რატი დევდარიანი;
10. საბა სულაქველიძე;
11. ნიკა ფცქიალაძე;

II ადგილის მფლობელი სპორტსმენები:
1. ომიკო ბურჯანაძე;
2. გაგა ფურცელაძე;
3. თენგო ტაბატაძე;
4. გიორგი მანჯავიძე;
5. დაჩი შარიქაძე;
6. დავით სხილაძე;
7. ნიკოლოზ ჭიპაშვილი.

გიორგი ჟორჟოლაძის ოჯახი ადგილობრივი ბიუჯეტის სტიქიით დაზარალებულთა ფონდიდან გაორმაგებულ თანხას - 2 400 ლარს მიიღებს

24 ნოემბერს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ლაშეში ხანძრის შედეგად სახლი დაიწვა. გიორგი ჟორჟოლაძისა და ნათია ფერაძის ოჯახი უსახლკაროდ დარჩა. ნათია ფერაძის ინფორმაციით, ცეცხლი დილის საათებში, სავარაუდოდ, ელექტროსადენებიდან გაჩნდა. ამ დროს ქალბატონი ნათია სახლში მცირეწლოვან ბავშვთან ერთად მარტო იმყოფებოდა. ადგილზე მობილიზებული იყვნენ ხარაგაულისა და ზესტაფონის სახანძრო-სამაშველო სამსახურის ბრიგადები. იმავე დღეს დაზარალებული ოჯახი მოინახულეს მუნიციპალიტეტის გამგებელმა, ნიკოლოზ თოფურიძემ და მოადგილე, თემურ ჩხეიძემ.

მათი ინფორმაციით, ოჯახი ადგილობრივი ბიუჯეტის სტიქიით დაზარალებულთა ფონდიდან გაორმაგებულ თანხას - 2 400 ლარს მიიღებს.

გამგებლის მოადგილის თემურ ჩხეიძის განცხადებით, გამგეობა მაქსიმალურად ჩაერთვება მათი პრობლემების მოგვარებაში. დღესვე დაისმება საკითხი სამასალე ხე-ტყის მოპოვებაზე.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობა თხოვნით მიმართავს მოსახლეობას, შესაძლებლობის ფარგლებში დავეხმაროთ გიორგისა და ნათიას ოჯახს. მათ ვერაფრის გადარჩენა ვერ შეძლეს.

დაინტერესებულმა პირებმა მიმართეთ ა(ა)იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალურ ცენტრს“, გამგეობის შენობის პირველ სართულზე ტელ: 0 433 22 32 25; 595 51 98 12;

გიორგი ჟორჟოლაძე ოჯახში მშობლებთან, მეუღლესთან და ერთ წლამდე ასაკის შვილთან ერთად ცხოვრობს.

საინტერესო დღეების მოლოდინში...

სულ მოკლე ხანში ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის პარტნიორი სკოლების თორმეტი გოგონა ჩაერთვება უფასო ბანაკის აქტიურ მუშაობაში, რაც მიზნად ისახავს, რომ გახდნენ აქტიურები გარემოსდაცვით საკითხებში, გაიუმჯობესონ უნარ-ჩვევები საველე პირობებში და შეხვდნენ საინტერესო ქალბატონებს.

ამის შესატყვისად, კონკურსში მონაწილე გოგონებს სათანადო არგუმენტებით უნდა დაესაბუთებინათ, თუ რა ინტერესები ამოძრავებდათ ბანაკის მუშაობაში ჩართვისას და რას ფიქრობდნენ ხარაგაულის ბუნებაზე.

მესამე საჯარო სკოლის დაინტერესებულ მოსწავლეებთან აქტიური მუშაობა გაშალეს ბიოლოგია-გეოგრაფიის პედაგოგებმა მარინე ლურსმანაშვილმა და მანანა სახვაძემ. ძალიან საინტერესო მოსაზრებები წარმოადგინეს წერილობითი სახით მოსწავლეებმა, რომელთაგან ეროვნული პარკის ოფისში შესაბამისმა ჟიურიმ შეარჩია სამი გამარჯვებული: ანა მაჭავარიანი (X კლასი), ამანდა ხვედელიძე (XI კლასი), ნათია ბურჯანაძე (IX კლასი).

სურათზე: კონკურსში გამარჯვებული მესამე საჯარო სკოლის მოსწავლეები: ამანდა ხვედელიძე, ანა მაჭავარიანი, ნათია ბურჯანაძე; პედაგოგები: მარინე ლურსმანაშვილი, მანანა სახვაძე; ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ვიზიტორთა მომსახურების უფროსი სპეციალისტი გიორგი მუხურაძე; ამერიკის „მშვიდობის კორპუსის“ მოხალისე ნეით თრარიგი.

ბანაკის მუშაობის სპეციფიკის გასარკვევად ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ვიზიტორთა მომსახურების უფროს სპეციალისტ ბატონ გიორგი მუხურაძეს დავუკავშირდით, რომელმაც ბრძანა:

აღნიშნული ბანაკი არის ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკისა და ამერიკის „მშვიდობის კორპუსის“ ერთობლივი პროექტი.

ეს არის მსოფლიო კამპანია, რომლის ინიციატორიც არის ამერიკის ყოფილი პირველი ლედი, მიშელ ობამა. აღნიშნული მიზნად ისახავს გოგონებმა მოახდინონ საკუთარ უნარ-შესაძლებლობათა რეალიზება, გახდნენ მოტივირებულები, უფრო განათლებულები და ლიდერები. ამ კამპანიაში ჩვენი რაიონიდან თორმეტი გოგონა (ასაკი 14-17 წელი) ჩაერთო (დაბის N2 და N3 საჯარო სკოლები, სასულიერო გიმნაზია და ბორის საჯარო სკოლა-პანსიონი).

ბანაკის რეჟიმი მოიცავს: ლექცია-სემინარებს, სხვადასხვა სახის პრაქტიკულ სწავლებასა და გასართობ-შემეცნებით აქტივობებს.

პირველ ეტაპზე სწავლებები ჩატარდება ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე საოჯახო სასტუმრო „მარელისში“;

მეორე ეტაპზე ორდღიანი შეკრებები მოეწყობა კოლხეთის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე;

დასკვნითი ეტაპი გაიმართება ქალაქ თბილისში გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრში.

მაშ ასე, ბორჯომ-ხარაგაულის გოგონებო, დეკემბრის თვეში ძალზე სასიამოვნო და საინტერესო ბანაკური ცხოვრების დღეები გელით!

მერი გიორგიძე

მუნიციპალიტეტის სკოლებისთვის სასკოლო სპორტული ოლიმპიადა დაიწყო

25 ნოემბერს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სკოლებისთვის 2017 წლის სასკოლო სპორტული ოლიმპიადა დაიწყო. ოლიმპიადის ფარგლებში პირველი შეჯიბრი გეზრბენში გაიმართა და მასში მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების აღსაზრდელები მონაწილეობდნენ. ოლიმპიადა გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის, საგანმანათლებლო რესურსცენტრისა და ა(ა)იპ „სპორტის განვითარებისა და მართვის მუნიციპალური ცენტრის“ ორგანიზებით გაიმართა.

გეზრბენში პირველი სამი ადგილი სკოლებს შორის შემდეგნაირად გადანაწილდა:

გოგონები:
1. ხევის საჯარო სკოლა
2. მესამე საჯარო სკოლა
3. ბორის საჯარო სკოლა

ბიჭები:
1. მესამე საჯარო სკოლა
2. მეორე საჯარო სკოლა
3. ხევის საჯარო სკოლა

გამარჯვებული გუნდები ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოვდნენ.

შეგახსენებთ, რომ სასკოლო სპორტული ოლიმპიადა ასევე ჩატარდება მინი-ფეხბურთში, კალათბურთში, მაგიდის ჩოგბურთში, ფრენბურთში, ხელბურთში, ბადმინტონში, ძიუდოში, კარატეში, თავისუფალ ჭიდაობასა და მხიარულ სტარტებში.

რაც შეეხება სპორტულ-შემეცნებით ოლიმპიადას, მის ჩატარებას ხარაგაულის მუნიციპალიტეტში თავად სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები უზრუნველყოფენ.

გამომცემელი ა(ა)იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრი"
მის: ხარაგაული, 9 აპრილის ქ.№15, ტელ: 22 32 25; ტირაჟი 1500 ცალი
დაიბეჭდა შპს „გამომცემლობა სამშობლოში“
დირექტორი: ეკა შავიძე; ტელ.: 595 51 98 12